დანართი – შეთანხმება № 3

დუშეთის მუნიციპალიტეტსა და შპს „არქ ბილდინგს“ შორის

2019 წლის 3 სექტემბერს დადებული № 352 ხელშეკრულებაზე

ქ. დუშეთი ივლისის 2020 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონმდებლობისა და „მიმწოდებლის“ წინადადების საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის შედეგად დუშეთის მუნიციპალიტეტსა და შპს „არქ ბილდინგს“ შორის 2019 წლის 3 სექტემბერს დაიდო №352 ხელშეკრულება, რომლითაც განსაზღვრულია: სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ბაზალეთის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ ლაზვიანში სასმელი წყლის სათავე ნაგებობის მოწყობის სამუშაოები.

დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის განვითარების, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის დროებით მოვალეობის შემსრულებლის იოსებ ღარიბაშვილის 2020 წლის 8 ივლისის N1378/09 მოხსენებითი ბარათით მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, ვინაიდან სატყეო სააგენტოდან მოსულია შესაბამისი ნებართვა, აღდგეს სამუშაოების დინების ვადა.

აღნიშნულიდან გამომდინარე:

ერთის მხრივ, თვითმმართველი თემი - დუშეთის მუნიციპალიტეტი, წარმოდგენილი მერის პირველი მოადგილის ბესიკი ბიჩნიგაურის სახით რომლის რეკვიზიტებია: ქ. დუშეთი, რუსთაველის ქ. N27, ს/კ 229324451, სახელმწიფო ხაზინა, ბ/კ TRESGE22, ა/ა GE24NB033010020011650 22 – **(შემდგომში შემსყიდველი)**

მეორეს მხრივ, შპს "არქ ბილდინგს" შორის, რომლის რეკვიზიტებია: მისამართი - თბილისი, დიდი დიღომი, დ. თავდადებულის N24 ბინა 40; ს/კ 404858294; მომსახურე ბანკი "ვი თი ბი ბანკი" ბანკის კოდი UGEBGE22 ა/ა GE93VT6600000000133605 - **(შემდგომში მიმწოდებელი).**

ვდებთ შეთანხმებას შემდეგზე:

1. ჩვენ შორის 2019 წლის 3 სექტემბრის დადებული №352 ხელშეკრულების 16 მუხლის გათვალისწინების აღდგეს სამუშაოების დინების ვადა.
2. დანართი–შეთანხმება №3 ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და წარმოადგენს 2019 წლის 3 სექტემბერს დადებულ №352 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

შემსყიდველი:

დუშეთის მუნიციპალიტეტის მერის

პირველი მოადგილე /ბ. ბიჩნიგაური/

Dusheti Municipality Digitally signed by Dusheti Municipality Date: 2020.07.16 11:42:10 +04'00'

მიმწოდებელი:

შპს „არქ ბილდინგის“ დირექტორი /პ. ღარიბაშვილი/

Paata Garibashvili Digitally signed by Paata Garibashvili Date: 2020.07.15 10:56:41 +04'00'

იურისტი:

KA990188308490720

1378/09

08 / ივლისი / 2020 წ.

დუშეთის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ ზურაბ სეხნიაშვილს

დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი
მოწყობის,ინფრასტრუქტურის განვითარების,
არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის
უფროსის იოსებ ღარიბაშვილის

მოხსენებითი ბარათი

ბატონო ზურაბ,

მოგახსენებთ, რომ დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიას შპს ,,არქ ბილდინგ"-თან (დირექტორი პაატა ღარიბაშვილი) გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები, 2019 წლის საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, ბაზალეთის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ ლაზვიანში სასმელი წყლის სათავე ნაგებობების მოწყობის სამუშაოების შესრულებაზე. (ხელშეკრულება N352 03.09.2019 წ. , დანართი-შეთანხმება N1-ით 19.12.2019 წ. სამუშაოები შეჩერებულია, სატყეოს ეროვნული სააგენტოდან ტყის ფონდის ზონაში, სამუშაოების საწარმოებლად შესაბამისი ნებართვის მოპოვებამდე, ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2020 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით).

გაცნობებთ, რომ დუშეთის მუნიციპალიტეტს სპეციალური დანიშნულებით სარგებლობისათვის გადმოეცა ფართობი 164 კვ.მ - სასმელი წყლის სათავე ნაგებობების და მილსადენის მოწყობის სამუშაოების საწარმოებლად. (იხ. დანართი მიღება-ჩაბარების აქტი 06.07.2020 წ. - ს/კ: 71.56.20.800 და 71.56.18.850 - ნახაზი შედგენილია და აღნიშნული საკადასტრო კოდებით სათავეები მდებარეობს სოფ. მლაშის ტერიტორიაზე, ხოლო სასმელი წყლით უზრუნველყოფა გათვალისწინებულია სოფელ ლაზვიანთკარისთვის.).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დუშეთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით (N1394/ს 28.06.2018 წ.), ზედამხედველობის გაწევაზე პასუხისმგებელ პირთა განსაზღვრის მიზნით შექმნილ ჯგუფს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ აღნიშნული ობიექტის დასასრულებლად, ,,მიმწოდებელთან" აღდგეს მიწოდების ვადა და განისაზღვროს სპეციალური დანიშნულებით სარგებლობისათვის გამოყოფილი ფართობის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან (06.07.2020) 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღით. (2020 წლის 21 ივლისის ჩათვლით).

ასევე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ,,მიმწოდებელმა" გაითვალისწინოს საქართველოს კანონში კულტურული მემკვიდრეობის შესახებ მე-10 მუხლით გათვალისწინებული - გამოვლენილი ან აღმოჩენილი კულტურული მემკვიდრეობის პირველადი (დროებითი) დაცვის რეჟიმი ,,1. თუ ფიზიკური ან იურიდიული პირი გამოავლენს ან აღმოაჩენს კულტურულ მემკვიდრეობას, ან ამის შესახებ გაუჩნდება საფუძვლიანი ვარაუდი, ისეთი საქმიანობის პერიოდში, რომლის გაგრძელებამაც შეიძლება დააზიანოს, გაანადგუროს ან ამის საფრთხე შეუქმნას მას, საქმიანობის მწარმოებელი პირი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეწყვიტოს აღნიშნული საქმიანობა და კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენის ან აღმოჩენის ან ამის შესახებ საფუძვლიანი ვარაუდის არსებობისა და საქმიანობის შეწყვეტის თაობაზე წერილობით აცნობოს სამინისტროს არა უგვიანეს 7 დღისა. 2. სამინისტრო ვალდებულია ინფორმაციის მიღებიდან არა უგვიანეს 2 კვირისა გადაამოწმოს კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენის (აღმოჩენის) ფაქტი და შედეგის შესახებ წერილობით აცნობოს დაინტერესებულ პირს. სამინისტროს მიერ აღნიშნული ვადის გაშვების შემთხვევაში პირი უფლებამოსილია განაგრძოს შეწყვეტილი საქმიანობა. 3. სათანადო საფუძვლების არსებობის შემთხვევაში მინისტრი ამ კანონით დადგენილი წესით უზრუნველყოფს გამოვლენილი (აღმოჩენილი) კულტურული მემკვიდრეობის სახელმწიფო აღრიცხვას, რის შესახებაც სამინისტრო დაუყოვნებლივ აცნობებს დაინტერესებულ პირს, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს. 4. თუ კულტურული მემკვიდრეობა გამოვლინდება არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად, ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების ვადა აითვლება შესაბამისი ნებართვით გათვალისწინებულ სამუშაოთა დასრულებიდან. 5. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმებსა და მუზეუმ-ნაკრძალებში აღრიცხულ და დაცულ კულტურულ მემკვიდრეობაზე ვრცელდება ამ კანონის 22-ე, 23-ე და 25-ე მუხლებით ძეგლის მიმართ დადგენილი პრინციპები და წესები".

გთხოვთ, აღნიშნული მოხსენებითი ბარათი შემდგომი რეაგირებისათვის გადააწეროთ მუნიციპალური შესყიდვების სამსახურს.

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

სივრცითი მოწყობის,ინფრასტრუქტურის
განვითარების, არქიტექტურისა და
მშენებლობის სამსახურის უფროსი

იოსებ ღარიბაშვილი